საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7775/01
13/08/2020

7775-01-2-202008131545

შპს „ბლექ სი ჯორჯიას“ დირექტორს
ბატონ გიორგი წირღვავას
მის: ქ. ფოთი, კონსტანტინე მიქაბერიძის ქუჩა, N 20

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 3 აგვისტოს № 12040 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (კირქვის გადამუშავებით მინერალური ფხვნილის წარმოება) მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების შესახებ ინფორმაცია, ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა და რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 171 $მ^3$ დღ/ღამე-ში, ხოლო ჩამდინარე წყლებისთვის გათვალისწინებულია 10 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო ორმო, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოში ნედლეულად გამოყენებული იქნება 8 მმ და მეტი დიამეტრის დამსხვრეული და გარეცხილი კირქვის ფრაქციები, თუმცა არ არის აღნიშნული ფრაქციების მაქსიმალური ზომები;
- წარმოდგენილი განცხადების მიხედვით უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 750 მ-ის დაშორებით. ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმებით საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ დასავლეთით 430-700 მეტრის რადიუსში ფიქსირდება შენობა-ნაგებობები. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოში წარმოიქმნება როგორც სახიფათო ისე არასახიფათო ნარჩენები, თუმცა მათი შემდგომი მართვის საკითხი არ არის განხილული;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარები უკვე მოწყობილია, დაზუტებას საჭიროებს ტექნოლოგიური

დანადგარების მოწყობის და საწარმოს ფუნქციონირების თარიღების შესახებ ინფორმაცია (თვე/წელი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „ბლექ სი ჯორჯია“ უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე